ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
სხდომის ოქმი N6

ქ. ლანჩხუთი

25.06.2024 წელი
11.00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის თავმჯდომარე **გიორგი იმნაიშვილი.**
კომისიის წევრები: ელისო ჭიჭინაძე, ლოლიტა ურუშაძე, სპარტაკ კვაჭაძე, კახა თედორაძე, ზაზა წულაძე.
სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გივი ცინცაძე, ემზარ თევდორაძე, ჯუმბერ ბლაგიძე.
მოწვეული სტუმარი: მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი **მაია აფხაზავა.**
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე; 6. წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის 2 და 3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსმა მაია აფხაზავამ. განმარტა, რომ მუნიციპალიტეტმა შეიძინა 5 ერთეული სამგზავრო ავტობუსი, რომლებიც იმოძრავებს კონკრეტულ მარშრუტებზე. დადგენილების პრეამბულაში მითითებული ნორმატიული აქტების შესაბამისად, აუცილებელია საკრებულომ განსაზღვროს სამგზავრო ტარიფები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში

რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფები განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. ლანჩხუთი-გრიგოლეთი-წყალწმინდა -2 ლარი;
2. ლანჩხუთი-ჯაპანა 1 ლარი;
3. ლანჩხუთი-ეწერი 1 ლარი;
4. ლანჩხუთი-აცანა-მამათი 2 ლარი;
5. ლანჩხუთი-ჩოჩხათი-გულიანი 2 ლარი.

მგზავრობისას შეღავათებით ისარგებლებენ 17 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეები, რომელთაც დაუმზადდებათ და გადაეცემათ პლასტიკური ბარათები. აღნიშნული პროექტის ორგანიზებას და ზედამხედველობას გააკეთებს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი. კერძოდ, ეს ეხება ტრანსპორტის მოძრაობას, შემოსული თანხების განაწილებას, რის შესახებაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ვალდებულია წელიწადში ერთხელ წარადგინოს ანგარიში.

დადგენილების პროექტი, კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს;

მომხრე ; 6. წინააღმდეგი: არცერთი.

2. სხვადასხვა.
დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ ლესის საჯარო სკოლაში სამწუხაროდ სასმელად გამოიყენება ტექნიკური წყალი, რომელიც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მოსარგებლეებისათვის. იქნებ მერიამ მიიღოს მონაწილეობა და ნაწილობრივ დააფინანსოს არტეზიული ჭის მოწყობის სამუშაოები. აუცილებლად მისახედია ადგილობრივი შიდა სასოფლო გზები ლესაში, ჯურუყვეთში და ეწერში, ვთხოვ მერიას გაატაროს შესაბამისი ზომები.
დეპუტატმა კახა თედორაძემ აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის აღდგენა ვერ ხერხდება იმიტომ, რომ ხიდის მოცულობიდან გამომდინარე დაპროექტება ადგილობრივი საპროექტო ჯგუფის კომპეტენციას აღემატება. ამ ხიდით სარგებლობს ღრმაღელის თემთან ერთად ჩოჩხათის თემის მოსახლეობა და სერიოზული სირთულეები ექმნებათ საყანე ფართობებში მისვლაში და სასოფლო სამეურნეო სამუშაოების ჩატარებაში. აუცილებელია სოფელ ყვავილნარში სკვერის და ზღვაზე მისასვლელი გზის გაკეთება.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: /**გიორგი იმნაიშვილი**/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 lanCxuTi, kostavas 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N6

ქ. ლანჩხუთი 25.06. 2024 წ.

2024 წლის 25 ივნისს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

25.06.**2024** წელი
11:00 საათზე.

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	სხდომის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი	10 54	
2.	ემზარ თევდორაძე	არ ესწრება	
3.	სპარტაკ კვაჭაძე	10-58.	
4.	ელისო ჭიჭინაძე	10 50	
5.	კახა თედორაძე	10 55.	
6.	ლოლიტა ურუშაძე	10 55	
7.	ზაზა წულაძე	10 55.	
8.	გივი ცინცაძე	არ ესწრება	
9.	ჯუმბერ ბლაგიძე	არ ესწრება	